საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5355
16/09/2022

5355-21-2-202209161643

**შპს „მნ კომპანის“**

მის: **თბილისი, დიდუბის რაიონი,**

**ქუჩა - ზ. ჭავჭავაძის; №9, ბ. №21**

**ელ. ფოსტა:** nozadze1986@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 9 სექტემბრის (სააგენტოს რეგისტრაციით - N 4748) განცხადება, რომელიც ეხება შპს „მნ კომპანის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილია მხოლოდ ელექტრონული სახით, შესაბამისად, „„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მე-4 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სკოპინგის ანგარიში სააგენტოს წარუდგინოს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. სკოპინგის ანგარიშის სისწორისა და დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო რელევანტური ინფორმაციის წარმოდგენისთვის პასუხისმგებელია საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი;
- დასაზუსტებელია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ. კერძოდ, ანგარიშში მოცემულია მხოლოდ შერჩეული ადგილმდებარეობის დადებითი მხარეების შესახებ ინფორმაცია, რის ნაცვლადაც **წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, თითოეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი-უარყოფითი მხარეების მითითებით და შერჩეული ალტერნატივის გარემოსდაცვითი დასაბუთებით;**
- დოკუმენტში წარმოდგენილი საკადასტრო მონაცემებით (ს/კ: 33.09.43.028; ს/კ: 33.09.43.026) ვერ ხერხდება საპროექტო ტერიტორიის იდენტიფიცირება, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „მნ

კომპანის“ მიერ დაგეგმილი საქმიანობა უნდა განხორციელდეს შპს „რუსელოისის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვერ ხერხდება შპს „მნ კომპანის“ მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის იდენტიფიცირება, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 980 მეტრით, თუმცა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი შენობა-ნაგებობა საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან ფიქსირდება 400 მეტრში, რისი ფუნქციური დატვირთვა საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მონაცემები მადნის გადამამუშავებელი დანადგარის შესახებ (წარმადობა, ტიპი, საპასპორტო მონაცემები);
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი სამუშაო გრაფიკის შესახებ მოცემული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, საწარმოში მანგანუმის მადნის გამდიდრება დაგეგმილია წელიწადში 250 დღის განმავლობაში - კვირაში 5 დღე 8 საათიანი გრაფიკით, 2000 სთ/წელ, თუმცა წარმოდგენილი დღეების და საათების რაოდენობის გათვალისწინებით საწარმოს სამუშაო საათები წელიწადში შეადგენს 1920 სთ/წელ;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებელი წყლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მდინარიდან წყლის საქაჩი ტუმბოს შესახებ, წარმადობის მითითებით;
- დაზუსტებას საჭიროებს წყლის გამწმენდი სალექარის შესახებ ინფორმაცია, ეფექტურობის მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შლამების დაგროვება მოხდება სალექარში, რისი გაუწყლოების შემდეგ მყარი მასა კუდებთან ერთად გატანილ იქნება საბადოზე, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია შლამის გაუწყლოვნებისთვის საჭირო დროისა და პირობების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია წიაღისეულის გადამუშავების შედეგად გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ. ამასთან არ არის შეფასებული ემისიებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედება უახლოესი მოსახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით სააგენტო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით განახლებული/კორექტირებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. გთხოვთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია განახლებულ სკოპინგის ანგარიშში ასევე წარმოადგინოთ ცხრილის სახით, შესაბამისი გვერდების მითითებით.

თამარ ფიცხელაური

საააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო